

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„წილის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

„წილის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის შემუშავების მიზეზს წარმოადგენს ტექნოგენურ საბადოებთან დაკავშირებით, კანონით გათვალისწინებული ნორმების კორექტირება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია ტექნოგენური საბადოებითი დაკავებულ მიწასთან დაკავშირებით „წილის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი გარკვეული შეზღუდვების გადახედვა და გამარტივება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის შესაბამისად ცვლილება შედის მე-8 მუხლის პირველ პუნქტში რომლის შესაბამისადაც, ტექნოგენური საბადოთი დაკავებულ მიწაზე შესაზღვრელი იქნება განაშენიანება, მოქმედი რედაქციით კი დაშვებული იყო მხოლოდ დროებითი განაშენიანება.

ცვლილება შედის ასევე კანონის 39-ე მუხლში, რომლის შესაბამისადაც სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობების განაშენიანება დასაშვები იქნება იმ შემთხვევაში, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს გადაუხდის წიაღისეულის საფასურს თუ წიაღისეულის საბადოთა ფართობებზე (წიაღის ფონდის მიწებზე) არსებული განაშენიანება არსებითად ზღუდავს ან აფერხებს წიაღით სარგებლობის შესაძლებლობას. თუ განაშენიანება ხორციელდება ლიცენზიით გათვალისწინებულ ფართობზე აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელი იქნება ლიცენზიის მფლობელის თანხმობა.

დასახლებული პუნქტების, სამრეწველო კომპლექსების, სხვა სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა ნებადართული იქნება მხოლოდ იმ ფართობზე, სადაც სასარგებლო წიაღისეულის საბადოები (გარდა ტექნოგენური საბადოსი) არ არსებობს, რაც დადასტურდება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდეს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება ასეთი მოსალოდნელი არ არის.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი) კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში ასეთს ადგილი არ ჰქონია.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში ასეთს ადგილი არ ჰქონია.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ზაალ გამცემლიძე